ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3693829

ნომერი: AR1554946

თარიღი : 06.11.2017

გაცემის თარიღი : 21.11.2017

გაცნობის თარიღი : 21.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნანეიშვილი , N 23 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N23 / ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი III ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 31 მარტს AR1491579 განცხადებით მომართა მოქალაქე რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელება, ახალი საკადასტრო ერთეულის დაფიქსირების და საპროექტო ობიექტის ფუნქციის დამატების მიზნით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, გლდანში, III მიკრო/რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.12.005.180 (ფართობი: 2300 კვ.მ)) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2017 წლის 7 აპრილის №3189778 ბრძანებით, აღნიშნულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში დაფიქსირდა განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.11.12.005.258 ფართობი 2850 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017084175, რეგისტრაციის თარიღი 09/02/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017096792, რეგისტრაციის თარიღი 10/02/2017 წ.) და საპროექტო ობიექტის დასახელებად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და სავაჭრო შენობა-ნაგებობა.
ამჯამად განმცხადებელი ითხოვს შეცვლილი საკადასტრო მონაცემების ასახვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაზრდას 4,9-მდე.
აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N45 სხდომაზე, სადაც გაიცა დადებითი რეკომენდაციები, რის საფუძველზეც გამოიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის 1-2602 ბრაძნება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: 01.11.12.005.284; განცხადების ნომერი: 882017922836; მომზადების თარიღი: 03/10/2017; ფართობი: 3121 კვ.მ) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის 1-2602 ბრაძნება.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის,

ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;

- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია„მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27მარტის N4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესებით“ და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.